

საბჭოთა

საპარტიველმს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორბანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა საპარტიველმს რესპუბლიკური საბჭოს ორბანი

ЛЕЛО

Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

17

ი ვ ნ ი ს ი

შაბათი,

1961 წ.

№ 82 (1718)

გამოცემის 80-17 წელი

ფასი 8 კაბ.

ნ. ასათიანი — საბჭოთა გენერალური ჩემპიონი



შარშან თბილისში გამართულ უნგრეთისა და საბჭოთალოს უშაღლე-სი სასწავლებლების მოფარიაკეთა საერთაშორისო მატჩის დროს საფარიკაო ბილიკზე საბრძოლველად გამოძახებულმა ორი ოლიმპიური თამაშების მონაწილემ — დაშნით მოფარიაკე ლ. მაროშიმ სთხოვა მსაჯს:

— თუ შეიძლება ვერ ნ. ასათიანისა და მ. მესინოს ბრძოლას ვუყურებ, ასეთი შეხვედრა შეიძლება ბევრგან ვერ ვნახო.

„მსოფლიოს ჩემპიონმა ჭაბუკთა შორის მ. მესინომ დამარცხებულმა დატოვა ბილიკი და თანაგუნდელს უთხრა:

— მიკვირს, რომ ეს ტემპერამენტანი ქართველი საბჭოთა კავშირის ჩემპიონი არ არის!

ეს ღღეც დადგა: ლენინგრადის საფარიკაო ბილიკზე გამართული შეუპოვარი ბრძოლების შედეგად გამარჯვებულის კვარცხლბეგზე ავიდა საბჭოთა კავშირის ახალი ჩემპიონი — 23 წლის თბილისელი სპორტის ოსტატი ნ. ასათიანი, თითო საფეხურით დაბლა იდგნენ მოსკოველი ი. კუზნეცოვი და საბჭოთა კავშირის 1959 წლის თასის მფლობელი უკრაინელი ე. ჩერეპოვსკი.

სურათი: ნ. ასათიანი, ქვევით — ნ. ასათიანი ისვენებს ფინალური ბრძოლის წინ.

ნ. ს. ზრუშკოვის გაბრუნვა რადიოთი და ტელევიზიით

1961 წლის 15 ივნისს რადიოთი და ტელევიზიით გამოვიდა საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ს. ზრუშკოვი, რომელმაც საბჭოთა საზოგადოებრიობას მოუთხრო ვენაში ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტ ჯ. კენედისთან შეხვედრასა და საუბრების შესახებ.



ნინ მღიღარი პერსპექტივები


ფიზკულტურა და სპორტი კომკავშირის ღვიძლი საქმეა. ამ უბანს ერთ-ერთი მთავარი, გადამწყვეტი როლი ეკისრება თაობების კომუნისტური აღზრდის საქმეში, ამიტომაც, რომ პარტია და მთავრობა ყოველთვის დიდ ყურადღებას აქცევენ მასების ფიზიკურ აღზრდას, სპორტულ წრეობას.

ამჟამად მთელს ჩვენს ქვეყანაში საბჭოთა ადამიანები პარტიის XXII ყრილობისწინა შრომით ვახტვებ დაწან. მთელი ჩვენი ქვეყანა, ყოველი მშრომელი იბრძვის იმისათვის, რომ მკაფიო შრომითი გამარჯვებებით შეხვედეს ამ დიდ მოვლენას საბჭოთა ხალხისა და მისი პარტიის ცხოვრებაში. ამ კეთილშობილურ მოძრაობაში კვლავ თავისი ღირსეული, ავანგარდული ადგილი უკავია ლენინურ კომკავშირს, რომლის ცენტრალურმა კომიტეტმა ახლანდელმა მღვწებარე მოწოდებით მიმართა საბჭოთა კავშირის კომკავშირელებს, ყველა ქალიშვილსა და ჭაბუკს — „კომუნისტურად შეხვედეთ ლენინის დიადი პარტიის XXII ყრილობას“.

მსვლელობის პროცესში არიან შექმნილი. სწორედ ამის შესახებაა ლაპარაკი საკავშირო ალკ ცენტრალური კომიტეტის მიმართვაში: „საბჭოების ქვეყანაში შექმნილია და სულ უფრო უკეთესი ხდება პირობები ადამიანის ყოველმხრივი განვითარებისათვის: მცირდება სამუშაო დღე, უმჯობესდება ყოფაცხოვრება, ფართოვდება სასწავლებლების, კულტურის დაწესებულებების ქსელი“.

დღეს, როცა ფიზკულტურასა და სპორტშიც მიღწეულია წარმატების ერთ-ერთი მთავარი პირობა — მასობრიობა, როცა სპორტით მომეცადინე ადამიანისათვის სულ უფრო სრულყოფილი პირობები იქმნება, დღის წესრიგში დგას განსაკუთრებული ყურადღება სპორტული ოსტატობის მკვეთრი და მასობრივი ზრდისაკენ. სწორედ ამ ნიშნით მიმდინარეობს ახლა პარტიის XXII ყრილობის შესახებდერი სოცეზიბრება და ვალდებულებაა აღება ფიზკულტურეთა და სპორტსმენთა შორის. ამ დროული, გონივრული და პატრიოტული თაოსნობის გამოვლინებას ჰქონდა ადგილი თბილისის სპორტულ ბაზებზეც, სადაც მიმდინარეობდა პროფკავშირთა საქალაქო სპარტაკიადი. ახლგაზრდა მძლეოსნებს — გ. გულაშვილსა და გ. ჩაღუნელს სულ ცოტა დააკლდა ოსტატობის ნორმის შესრულებამდე. შეჯიბრების დამთავრებისთანავე მათ ვალდებულებაც იკისრეს — ოქტომბრამდე აუცილებლად დაძლიონ ოსტატობის მიხალწევი ზღუდე და ეს წარმატება მიუძღვნან პარტიის ყრილობას. ამ ღირსშესანიშნავ მოვლენას უკავშირებენ აგრეთვე თავიანთ ვალდებულებებს ანაკლიის საბჭოთა მეურნეობის რიგითი ფიზკულტურელებიც, რომლებმაც დიდი უსურადღება დაუთმეს არა მხოლოდ მასობრიობის ზრდასა და ბაზების მშენებლობას, არამედ კომუნურ რწე სპორტსმენთა ოსტატობის დონის ამაღლებასაც. ასეთ ვალდებულებებს იღებენ სხვა სპორტსმენებიც და ფიზკულტურული კოლექტივები. ეს სწორი კურსია, ეს მრავლისაღმთქმელი წინასაყრილობო ვალდებულებებია, რამდენადაც არ შეიძლება ოსტატობის ამაღლებისათვის მასობრივ ბრძოლას არ მოუყვან ასევე მასობრივად მაღალი შედეგები სპორტის სხვადასხვა სახეობებში.

წინასაყრილობო შეჯიბრებანი და ვალდებულებათა აღების პროცესი სრულ ძალაში შედის. მასხადაამე — წინ მეტად საინტერესო და მდიდარი პერსპექტივებია!



საბჭოთა გუნდი — პირველ ადგილზე

ოსლოში მიმდინარეობს მსოფლიოს ორი ჩემპიონატი — ტყვიით მსროლელთა და მესტენდურეთა პირად-გუნდური პირველობანი. გამარჯვებისათვის იბრძვიან საბჭოთა კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატების, იტალიის, გერმანიის, რუმინეთისა და სხვა ქვეყნების საუკეთესო სპორტსმენები.

ტყვიით მსროლელთა შეჯიბრება „გაქცეულ ირემზე“ პირველ დღეს დამთავრდა ამერიკელ კრატს გამარჯვებით, რომელმაც 226 ქულა მოაგროვა და 4 ქულით აჯობა საბჭოთა სპორტსმენ რომანეკოს. ამ უკანასკნელის თანაგუნდელებს

ლუსტერგსა და ნიკიტინს დარჩათ მომდევნო ადგილები, გუნდურ ჩათელაში გამარჯვებს ჩვენი ქვეყნის წარმომადგენლებმა.

მესტენდურთა შეჯიბრების პირველი დღე დაემთ ადგილიდან სროლას. საბჭოთა სპორტსმენმა, ოლიმპიური თამაშების პრიზორმა ს. კალინიშმა 300-დან 293 სამიხუნე დაამსხვრია და დაამყარა ჩვენი ქვეყნის ახალი რეკორდი, ეს შედეგი საკმარისი აღმოჩნდა იმისათვის, რომ მას საპრიზო ადგილი მოეპოვებინა. პირველ ადგილზე გამოვიდა იტალიელი ე. მატარელი — 296 სამიხუნე.

მეზღეპი ბიბარუბა პპრიუსა და პრალაში

კალათბურთში ევროპის ჩემპიონთა თასის გათამაშებაში გასულ წელს ერთმანეთს უნდა შეხვედროდნენ რიგის არმიელთა გუნდი და მადრიდის „რეალი“, მაგრამ ეს მატჩი არ შედგა, ვინაიდან ფრანკოს მთავრობამ თავის სპორტსმენებს აუკრძალა საბჭოთა კავშირში გამგზავრება. კალათბურთის საერთაშორისო ფედერაციამ და ჩემპიონთა თასის საორგანიზაციო კომიტეტმა მადრიდის გუნდს წაგე-

ბა ჩაუთვალეს. „რეალი“ უთამაშებლად დატოვა ტურნირი.


თასის წლევეანდელ გათამაშებაში კენჭისყრამ ეს გუნდები კიდევ ერთხელ მოახვედრა ერთად. მათ უნდა ითამაშონ ნახევარფინალში. ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე პირველი მატჩი რიგის არმიელთა და მადრიდის „რეალს“ შორის გაიმართება დღეს პარიზში, ხოლო განმეორებითი მატჩი — 21 ივნისს პრალაში.

ბელორუსია — გდრ

მინსკში გაიმართა ბელორუსიისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის კალათბურთელთა გუნდების საერთაშორისო ამხანაგური შეხვედრა. როგორც სტუმრების მწვრთნელმა განაცხადა, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის გუნდი ახალგაზრდული კოლექტივია. იგი უკვე აქედანვე ემზადება ტოკიოს ოლიმპიური თა-

მაშებისათვის და როგორც სპეციალისტები ფიქრობენ, 1964 წლისათვის საკმაოდ ძლიერი ძალა იქნება.

ქალთა გუნდების შეხვედრა მოიგეს ბელორუსმა კალათბურთელებმა — 53:38. მასპინძლების გამარჯვებით აღინიშნა ვაკთა გუნდების მატჩიც — 82:57.



ამას წინათ თბილისის ჩოგბურთის კორტებზე დამთავრდა საქართველოს პირად-გუნდური პირველობა ჩოგბურთში, რომელშიც მონაწილეობდნენ რესპუბლიკის უძლიერესი სპორტსმენები. სურათი: რესპუბლიკის 1961 წლის ჩემპიონი ქალთა შორის რ. აბუხანდაძე (ზევით) და ა. ვერულავა. ფოტო ი. იუნაივისა

სურათში: თბილისის ელექტროლოკატორების ქარხნის საქადრაკო სექციის მუშაობა.



საკუთარი ინიციატივით

თერჯოლის მახლობლად მდებარე იატაკისა და ფილების ქარხანა რაიონში კარგი სპორტული კოლექტივის სახელს ატარებს. ქარხნის მუშა-მოსამსახურეთა ძირითადი ბირთვი ახალგაზრდები არიან, ამიტომ ქარხანაში სპორტა...

თადად სოფელ ვანთის საშუალო სკოლის ბაზებზე უხდებოთ ვარჯიში. ისმის კითხვა — თუ აქაური ახალგაზრდები სპორტის ასეთი მოყვარულები არიან, ნუთუ თითო-ოროლა მარტივი ტიპის მოედნის აგებაც ვერ მოუხერხებიათ? — არა, ახალგაზრდებს მონდომებაში ვერვინ უსაყვედურებს...

მათ აღრე ხევის პირას ჰქონდათ მოწყობილი კალათბურთისა და ფრენბურთის მოედანი. მაშინ აქაური სპორტსმენები წარმატებით გამოდიოდნენ სპორტის ამ სახეობებში გამართულ რაიონულ შეჯიბრებებზე. ეს იყო 1959 წლამდე...

გარაუთ, სავადმყოფოც სოფელს სპირდებოდა. ამიტომ დათმეს ახალგაზრდებმა სპორტული ბაზები და მთელი ძალები მიმართეს რიყიანი ადგილის კომპლექსურ სტადიონად გადაქცევისათვის. დაქანებული და კლდესავით მაგარი ნიადაგის გასწორება დიდ ენერჯიას მოითხოვდა. ამ რთული...

ამ ერთი თვის წინათ შედგა კოლმეურნეობის კომკავშირული ორგანიზაციის ღია კრება, სადაც ერთხელ კიდევ განიხილეს სპორტული მოედნების მოწყობის საკითხი. კრებაზე სიტყვით გამოსულმა კოლმეურნეობის თავმჯდომარემ აქვენიშვილმა გამგეობის სახელით აღუთქვა ახალგაზრდებს, რომ სტადიონის მშენებლობა ერთ თვეში დასრულდებოდა. დროის ამ მცირე მონაკვეთში სტადიონის მშენებლობის დამთავრება შეუძლებელია, მაგრამ აქაური ახალგაზრდები კმაყოფილი დარჩებიან, თუ ეს საკითხი მიმდინარე წლის დამთავრებამდე მაინც გადაიჭრება.

ჯ. პაუჩიძე, ზ. სამსონაძე

თავმჯდომარეებ ალუთქვა დახმარება

თელავის რაიონის სოფ. აკურის კოლმეურნეობის თავმჯდომარის ექვენიშვილის სამუშაო ოთახის კედლებზე თვალსაჩინო ადგილზეა გამოკრული აკურელ სპორტსმენთა მიერ სარაიონო შეჯიბრებებზე მოპოვებული ჯილდოები—სიგელები და დიპლომები. იქვეა „კოლმეურნის“ რაისაბჭოს გარდამავალი თასიც, რომელიც აკურელმა კოლმეურნეებმა 1960 წლის სოფლის სპორტსმენთა რაიონულ სპარტაკიადზე საერთო პირველ ადგილზე გამოსვლით მოიპოვეს. ფიზკულტურა და სპორტი ღრმადია შეჭრილი აკურელ კოლმეურნეთა ცხოვრებაში. შედეგად იგრძნობა: სპორტის რა სახეობაშიც სცადეს თავიანთი ძალები ახალგაზრდებმა, უფლებან წარმატებას მიაღწიეს. ასე მაგალითად, კოლმეურნე ძალოსნები გ...

ხატიაშვილი, ზ. ჭოველიძე და კომუნისტური შრომის ბრიგადირი გამედლიშვილი თელავის რაიონული ნაკრების წევრები არიან. თავისუფალი სტილით მოქიდავთა გუნდი, რომელსაც კოლმეურნე მ. ლოდელიშვილი ავარჯიშებს, გასულ წელს პირველად მონაწილეობდა რაიონულ სპარტაკიადზე და მეორე ადგილა დაიკავა, მძლეოსანთა გუნდი რაიონული სპარტაკიადის ჩემპიონია.

ასეთი ხალხმრავალი კოლექტივისათვის, როგორც აკურის კოლმეურნეობა, ეს წარმატებანი თითქმის ბუნებრივად უნდა იყოს, მაგრამ საქმე იმაშია, რომ აქაურ სპორტსმენებს საკუთარი სპორტული ბაზები არ გააჩნიათ და ძირი...

გიულაგენი

თი ძალებით ჩამოაყალიბეს სექციები სპორტის მრავალ სახეობაში, მწვერთვებზე და დანიშნეს თავიანთივე გამოცდილი სპორტსმენები, ააგეს საჭირო მოედნები. კარგ წამოწყებას მხარი დაუჭირა ქარხნის ადმინისტრაციამაც (დირექტორი ს. მხეიძე).

უკვე მეორე წელია ქარხნის ფეხბურთელები და ფრენბურთელები სპორტსაზოგადოება „სპარტაკის“ რაიონული საბჭოს ჩემპიონები არიან. ამას წინაშე ახალი გამარჯვება ხელა წილად ქარხნის ფრენბურთელთა გუნდს, რომელმაც მოიპოვა რაიონის ჩემპიონობა და გარდამავალი თასი.

მიუხედავად გარკვეული წარმატებებისა, ქარხნის სპორტულ ცხოვრებაში შესამჩნევია ნაკლებობებიც. ქარხანას დღემდე არა ჰყავს განათავსებული მოედნი, რომლის მარგანიზებელი ხელი ბევრს გააკეთებდა კოლექტივის მუშაობის გაცხოველებსათვის. ამის გამო, რომ ქარხანაში სრულბოთ არ არის დანერგული საწარმოო ტანვარჯიში.

საზოგადოებრივი ინიციატივით გამოცოცხლებულმა სპორტულმა მუშაობამ ქარხანაში უნდა მიიღოს უფრო გამოხეული, გეგმიანი წინსვლის სახე. ქარხანას გააჩნია ამის პოტენციური შესაძლებლობანი, კომკავშირული და სპორტული აქტივის მუყაითი მონდომებით. მეორედისთვის აყვანილ უნდა მოხდეს მათი მთლიანი რეალიზება.

ლ. ჯიფიაშვილი

დამსახურებული ჯილდოები

მახარობის რაიონის სოფ. ცხემლისხიდის საშუალო სკოლას კარგი სპორტული ტრადიციები გააჩნია. 1949 წლიდან სკოლის მოსწავლე სპორტსმენებმა 17-ჯერ მიიღეს მონაწილეობა სარაიონო და რესპუბლიკურ შეჯიბრებებში. სკოლის კალათბურთელები 8-ჯერ აყენენ რაიონის ჩემპიონები. 1959 წელს სკოლის ფიზკულტურულმა კოლექტივმა მონაწილეობა მიიღო საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე, სადაც ოქროს 4 მედალი და სიგელები დაიმსახურა. გასულ წელს სოფლის სკოლებს მძლეოსანთა რესპუბლიკურ პირველობაზე სკოლის წარმომადგენლებმა პირველი ადგილი დაიკავეს, ხოლო კალათბურთელმა გოგონებმა რესპუბლიკის საიუბილეო სპარტაკიადზე შეესამე სპარბიზო ადგილი მოიპოვეს.

ცხემლისხიდის სკოლაში აღიზარდა სპორტის ოსტატი — მოქიდავე ნ. ჭანუყვიძე; პირველთაინიგოსანი მძლეოსანი ვ. ლომინაძე, პირველთაინიგოსანი კალათბურთელი მ. კვაპანტირაძე და სხვანი, რომლებიც წარმატებით იცავენ რესპუბლიკის სპორტულ ღირსებას.

ასეთი საამაყო მაჩვენებლები სპორტის მრავალ სახეობაში მოპოვებულია სკოლის პედაგოგიური კოლექტივისა და დირექტორის — ა. რამიშვილის ყურადღებითა და მზრუნველობით. ენერგიულად მუშაობს ფიზკულტურის მასწავლებელი გ. გვარჯალაძე.

ახლა ცხემლისხიდის საშუალო სკოლის სპორტსმენები წარმატებით ემზადებიან რესპუბლიკური შეჯიბრებებისათვის. მათ გადაწყვეტილი აქვთ, შეინარჩუნონ განათლების სამინისტროს გარდამავალი წითელი დროშა, რომელიც გასულ წელს მოიპოვეს.

ა. სოსელია




სურათში: თბილისის ელექტროლოკატორების ქარხნის საქადრაკო სექციის მუშაობა

„პარტველი ფალავნები მსოფლიო და ოლიმპიურ შეჯიბრებაზე“
სპორტის დამსახურებული ოსტატის, მსოფლიოს ორგზის ჩემპიონის ვ. ბალავაძის ბროშურა — „ქართველი ფალავნები მსოფლიო და ოლიმპიურ შეჯიბრებებში“ მიზნად არ ისახავს ამომწურავად, მთელი სიღრმითა და სიგანით გააშუქოს აღნიშნული საკითხი. ასეთი მიზანი წარმოუდგენელიცაა მოცულობით ბროშურას, რომელიც სულ 40 გვერდისაგან შედგება. მაგრამ, მიუხედავად ამისა, საქართველოს სსრ პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოების მიერ გამოცემული ეს წიგნაკი ცხოველი ინტერესით იკითხება.
ბროშურის თვითველი თავი წარმოადგენს რომელიმე დიდი საერთაშორისო შეჯიბრების — მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატებში, ან ოლიმპიურ თამაშებში ქართველი მოქიდავების წარმატებათა მოკლე აღწერას და მთელი რიგ ხაინტერესო დეტალებს. აქ მოთხრობილია პრადში ჩატარებული ევროპის პირველობაზე, მელბურნში, სოფიაში, თეირანსა და რომში ჩატარებულ სხვადასხვა სპორტულ ასპარეზობებზე.
ბროშურის რედაქტორია ა. ცამციშვილი. იგი ლამაზადაა გაფორმებული და ღირს 10 კაპ.



„ნადირობის მომპარულთათვის“
საქართველოს მონადირეთა კავშირის პრეზიდიუმმა გამოსცა თავისი პირიგი ბიულეტენი, რომელიც პირველია მიმდინარე — 1961 წელში. ბიულეტენი შეიცავს რამდენიმე განყოფილებას: „სანადირო მექაღლეობა“, „გავანადგურეთ მანვე მტაცებელი ფრინველ-ნადირი“, „მოვსხოთ ბრაკონიერობა“...

„ნადირობის მომპარულთათვის“
საქართველოს მონადირეთა კავშირის პრეზიდიუმმა გამოსცა თავისი პირიგი ბიულეტენი, რომელიც პირველია მიმდინარე — 1961 წელში. ბიულეტენი შეიცავს რამდენიმე განყოფილებას: „სანადირო მექაღლეობა“, „გავანადგურეთ მანვე მტაცებელი ფრინველ-ნადირი“, „მოვსხოთ ბრაკონიერობა“...



„სასროლო-სასტენლო სპორტი“ და სხვ. ბიულეტენში დაბეჭდილი წერილებიდან აღსანიშნავია რ. ჭელოძის „საქართველოს მონაკვეთის 40 წლისთავი“, რ. ავალიანის „ნადირობის გავლენა სანადირო-სარეწაო მნიშვნელობის ცხოველების მარაგზე“, ც. გვერდწითელის „ქალებიც ეტანებიან სასროლო-სასტენლო სპორტს“ და ა.შ. ბიულეტენის ფასია 10 კაპ.

